

# ნეგზეsh ანთერავა

ეროვნული  
განაკვეთი

K247.8/10  
3



ტრადიციული  
საქორნინო  
ნინ-ჩვეულებანი  
სამებროლოში

F 87/83  
3

ნებზახ ანთელავა



ტოადიციული  
საქორნინო  
ნეს-ჩეულებანი  
სამეცნიელოში

თბილისი  
2005



უაკ(UDC)392.5(479-22)

ა657

ნაშრომში საველე მასალების, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის სამეცნიერო მოქმედი საქორნინო წეს-ჩვეულებები; გამოვლენილია ამ წეს-ჩვეულებათა, როგორც საერთო ქართული ძირები, ისე ლოკალური თავისებურებანი.

რედაქტორები: ისტორიის მეცნირებათა დოქტორები —  
თამიალა ცაგარევიშვილი,  
გიორგი გოცირიძე

მხატვარი: გიორგი წერეთელი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: მიხეილ გაბერიავა

K249810  
3

სპეც-20  
სახორცელებელი

ISBN 99940-0-658-4

საქართველოს
პრეზიდენტის
მინისტრის
მინისტრის
მინისტრის

# შესავალი



ქორწინებისა და საოჯახო ურთიერთებულების, ასევე საზოგადოების ყოფილი ურთიერთებულების კულტურის განვითარების პრობლემების ღრმა მეცნიერული შესწავლა დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ეთნოლოგია დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ყალიბდებოდა. მართალია, დღეისათვის ქორწინების ინსტიტუტს მრავალი სამეცნიერო დარგი იკვლევს, მაგრამ ეთნოლოგიას ამ მიმართულებით კვლავინდებურად ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები ეთნოლოგებს აინტერესებთ, როგორც ეთნიკური ისტორიის პრობლემა; კვლევის ობიექტია ყოველი კონკრეტული რიტუალის გენეზისი და ნეს-ჩევეულებათა ადგილი და როლი, როგორც საქორწინო ურთიერთობებში, ისე ეთნიკური ჯგუფის სოციალურ და მსოფლმხედველობრივ სისტემებში.

ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემები ქართულ მეცნიერებაში საკმაო ხანია მუძავდება. საგანგებო აღნიშვნის ღირსია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერჩევნთვის საინტერესო საკითხების შესახებ ქართული ნყაროთმცოდნეობითი მონაცემების თავმოყრა და გაანალიზება. საოჯახო ყოფისა და საქორწინო ურთიერთობების შესწავლაში მნიშვნელოვანი ნელილი მიუძღვით ქართველ ეთნოლოგებს — რ. ხარაძეს, ი. ჭყონიას, ვ. ითონიშვილს, ა. რობაქიძეს, მ. ბექაიას, ნ. მაჩაბელს, ლ. მელიქიშ-



ვილს, თ. იველაშვილს. გ. გოცირიძეს, და  
სხვებს; ალსანიშნავია ნ. ხიზანიშვილის შეკვეთის  
სახოკიას, ს. მაკალათიას და სხვ. და სამართალმცოდნეთა გამოკვ-  
ლევები.

მიუხედავად განეული ძალზე შრომატ-  
ევადი მუშაობისა, ჯერ კიდევ არ არის  
მთლიანად გამოვლენილი და შესწავლილი  
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმე-  
დი საქორნინო წეს-ჩვეულებების ლოკალუ-  
რი თავისებურებები, მათი წარმოშობის  
მიზეზები და კანონზომიერებანი. წინამდე-  
ბარე წაშრომი ამ ორი ათეული წლის წინათ  
შესრულდა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას  
ხელმძღვანელობით და უცვლელად ქვეყ-  
ნდება. ვფიქრობ, იგი პრობლემის შემდგომ  
დამუშავებაში თავის მოკრძალებულ წვ-  
ლილს შეიტანს.



## თავი I

ტრადიციული

დათვასაური ურთიერთობათა განვითარების სამრეჩიო წეს-ჩევეულებანი  
თავისებურებასი

### 1. დათვასაური ურთიერთობათა განვითარების საკითხი

საკითხი ნათესაობისა და ნათესაურ ურთიერთობათა ბუნების შეხეხებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანია ეთნოლოგიურ მეცნიერებაში. ჯერ კიდევ ლაპ. მორგანი ქორწინებისა და ოჯახის თავდაპირველი ფორმების მიხედვის რეკონსტრუქციაში ამოდიოდა იქიდან, რომ მამობა თავის ხაფუძველში ბილოგიურ მოვლენას წარმოადგენს, და რომ ტერმინი „მამა“ წარმოდგა იმ მამაკაცის აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანის განვითარების უდინობრივი მიუთითებუნ, ხარისხი ამან განაპირობა რიგი უზუსტობანი მორგანისეულ რეკონსტრუქციაში /175, 36-37/. მართალია, არ შეიძლება ბიოლოგიური ხაწყისის ხრული უარყოფა ნათესაურ დამოკიდებულებებში, მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ დედ-მამას შვილების მიმართ გარევაული უფლება-მოვალეობანი აკისრია; ხევაგვარად რომ ვთქვათ, დედობა და მამობა ერთდროულად ბიოლოგიურიცაა და ხოციალურიც, თუმცა ეს ურთიანობა შედარებითი ხასიათისაა და განვითარების ხევადახევა ხაფუძველზე ხაზოგადობის მიერ არაერთგვაროვნად შეიძლება.

ზემოხსენებული პრობლემა XX საუკუნის 60-იან წლებში გაცხოველებული კამათის ხაგანი გახდა ჟურნალების „Man“-ისა და „Philosophy of science“-ის ფურცლებზე, ხადაც ადინიშნა, რომ ნათესაური ურთიერთობები განიყოფიან ორ თვისებრივად განსხვავებულ ხახვებად – ბიოლოგიურ-გენეტიკურ ნათესაობად და ხოციალურ ნათესაობად /175, 37/. ხევნებული დებულება ემყარება იმ მრავალრიცხოვან მახალას, რომლის

მიხედვითაც უკლასო სასოგადოების საფუძვლის მყოფ ხალხებში დედობისა და მამობის გაყოვე მიღებული გიურ და ხოციალურ ასპექტებად ძალისა და მიზანურ ბუღა მოვლენას წარმოადგენდა. ხელის მიზანურ ინგლისურენოვან საკვადლურ ლიტერატურა მა ბილიკიური მამობა აღინიშნება ტერმინით „genitor“, ხოციალური კი – „pater“; რესულ ენაში პირველის გქვივალურია „მიმახილე“ /175, 38/, ხოლო ქართულში შეიძლება იყოს „გამჩენი“.

თავისთავად ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეთნოგრაფიული მასალის გამოწიაღუბას ან უკვე აღწერილის ახლებურად გასურებას, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული პრობლემის შემდგომ შეხწავლას. სწორედ ამ თვალსაზრისით ვეხებით ხამეგრულოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ თუ მოვლენას – შვილისა და გარდაცვლილი ნათესავის მონაცვლის აყვანის ჩვეულებებს და მათთან დაკავშირებულ წესებს – „მითორგინაფას“ (შეგორუბა) და „თუმაში მუკოოთამას“ (თმის ჩამოგდება).

### ა. „მითორგინაფა“ (შეგორება)

„მითორგინაფას“ წესის პირველი აღწერა ეკუთვნის ხამეგრულოს ხალხური წეს-ჩვეულებების ჩინგბულ მცოდნებს თ. ხახოების. მოგვყავს მიხედვის მასალა: „...შვილად აყვანის აქტი მაშინდა ითვლება... კანონიერად, როცა შვასრულებენ ჩვეულებას, რომელიც მაყურებელზე ხტოვებს უშვილო დედაკაცის მიერ შვილის შობის შთაბეჭდილებას... შვილად აყვანის ცერემონიის რამდენიმე დღის წინათ მომავალს დედას თავი იხე უჭირავს, როგორც ორსულობის უკანასხველ დღეებში მყოფ მშობიარეს; მუცელზე ბალიშს იქვთებს, რომ გამობერილად კნივნოს მაყურებელს; ხელი მოძრაობს, კვნეხით და ხულის ბრუნებით. მეზობელი ქალები მის მდგომარეობას თანაგრძნობით და სერიო-

უუდად უყურებენ, ეკითხებიან თუ როგორ  
მოიღოგინებო. ბოლოს თვით „მოღოგინებაც“ დგმონა  
„მშობიარე“ ლოგინში ჩაწვება, კვნესის სწორებდ იხვ.  
როგორც ბავშვის დაბადების დროს მეღობენ მარტინი პეტე  
ბია თავს დასტრიალებს, რევეს აძლევს უწმიდესობის სტრუქტურა  
და ამ დროს ლოგინში შეუგორებენ ბავშვს. აქედან  
დავრჩევა თვით პროცესს „სქუაში მითორგინაფა“ (შეგ-  
ორება შეიღისა). ბავშვის ატიტების დროს უველანი  
ჩქარობენ მიუღოცონ დედას მშვიდობით შეძენა ვაჟი-  
სა. მშობიარე კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება ლო-  
გინში. ამ შემთხვევაში ხაჭმელად აძლევენ საგანგა-  
ბოდ მომზადებულ ტიბუ-ს (თბილი)<sup>1</sup> ანუ სახვრეპ წევნებ.  
ახალი მშობლები „ნაშვილევს“ ისე ზრდიან, როგორც  
საქუთარს. მეზობლებიც ასეთად თვლიან“ /78, 75/.

„მითორგინაფას“ ჩვეულება შედარებით მოკლედ  
აღწერილი აქვს ს. მაკალათიას. იგი წერს: „წინას-  
წარი შეთანხმებით ორსული ქალისაგან ბავშვს იშ-  
ვილებდნენ და უშვილო ქალი მუცელზე ბალიშს  
გაიკეთებდა, ვითომ ორსულად იყო. როდესაც ორსუ-  
ლი ქალი მოიშმობიარებდა, უშვილო ქალიც ლოგი-  
ნად წვებოდა და როგორც მშობიარე კვნესოდა. ამ  
დროს მაღულად მოიყვანდნენ ახლად დაბადებულ  
ბავშვს და მას ლოგინში შეუგორებდნენ, რასაც ეწოდე-  
ბოდა „მითორგინაფა“ ანუ „მითორგუმა“ და ასეთი  
ბავშვი ითვლებოდა მის ნამდვილ შეიღილებას“ /50, 270-  
271/.

აღწერილი ჩვეულება სამეცნიერო ლიტერატურა-  
ში გააზრებული იყო, როგორც კუვადის გადმონაშთი.  
თ. ხახოების აზრით, „მეგრელი „სქუაში მითორგინა-  
ფა“ მოგვაგონებს აფრიკის ზოგიერთ ტომთა ასეთ-  
ხავე ჩვეულებას, რომელსაც ლიტერატურაში ცხახიან  
Cuvalde-ს ანუ გამოჩეკას. „გამოჩეკა“ ჯერ კიდევ ძველი  
წელთაღრიცხვების მე-3 საუკუნეში იცოდნენ თანამე-  
ტელი

<sup>1</sup> ლომისა და ოჯალების ნადულისაგან მომზადებული წენიანი (22, 45).

დროვე მუგრელების წინაპრებში – ტიბიტენებში” /78, 75/. 30-იან წლებში „მითორგინაფას“ შეკვეთი და მელქისედი და იგი კუვადის წესუნერებულები / 162, 732/. ს. მაკალათიამ აღწერა რტ წმდომელისტებულენტერების წვერები წვერები დაახევნა, რომ .... „მითორგინაფა“ წარმოადგენდა „კუვადას“ (cuvade)... ნაშთს და ახასიათებდა დადამთავრული ოჯახიდან მამათავრულზე გადახვლის პერიოდს“. ავტორი იმოწმებს ა. როდოსევლის მიურ აღწერილ და ტიბარენებში გავრცელებულ წვერების, ასევე სტრატინის ცნობებს მხგავსი წვერების არხებობის შეხახებ დასავლეთის იძერებში, კელტებსა და სკვითებში /50, 27/.

მოგვიანებით ამ საკითხით დაინტერესდა აკად. ბ. ჩიტაია, რომელმაც „მითორგინაფა“ კუვადის წვერები ბას დაუკავშირა. აღნიშნა რა, რომ „ჭველ კოლხეთში თოხის კულტურა განვითარებული ხახით იყო წარმოდგენილი ბრინჯაოს კოსტიუმების მოქლე მანძილზე“, ბ. ჩიტაიამ დაახევნა: „მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ... გარდამავალი პერიოდი თავის ასახვას პოულობს არამარტო ხაწარმოო იარაღების გარდამავალი ფორმებში, არამედ ხალხურ წვერებებშიც. მხედველობაში გვაძვს ტიბარენებში, მეგრელებისა და ბახებში დამოწმებული კუვადა, რომელიც ხაზოგადოებრივი განვითარების ამ გარდამავალი ხაფეხურის ქვემოურანელ მოწმობას წარმოადგენს“ /197; 94, 38; 96, 12/. აღნიშნული წვერები განიხილა ასევე ეთნოლოგმა ალ. რობაქიძემ, რომელმაც მხარი დაუკირა თ. ხახოვასაგან მომდინარე თვალხაზრისს /69, 27-28/.

ახეთია ხაკითხის ისტორია.

როგორც ვნახეთ, ავტორთა ერთ ნაწილთან აღნიშნული წვერებია, ხევა მონაცემთა გათვალისწინებით, კულტურულ-ისტორიული კავშირების მაჩვენებელია, ერთის მხრივ, ტიბარენებისა და მეგრელების შორის, მეორეს მხრივ ბახებისა და ხავრთოდ ქართველების შორის (თ. ხახოვა, ღ. მელქისედი-ბეგი, ს. მაკალათია, ბ. ჩიტაია),

ხოლო მეორე ნაწილთან გვავლინება, როგორც კართული ნიმუში გაღმონაშოთაა, რომლის გამოყენების შესაძლებელია ქულტურის აღრეული საფეხურის წესი კონსტრუქციისათვის (აღ. რობაქიძე). კი მათ მარტინ შინაგავარის, აუცილებელია მოკლედ მაინც შევეხოთ ხპევდალურ ლიტერატურაში Cuvade-ს სახელით ცხობილ წვეულებას.

მოყოლებული ანტიკური ხანიდან, ახალი პერიოდის ჩათვლით მრავალ ავტორთან კევდებით წვეულებების აღწერას, რომლებმაც მოგვიანებით ქუვადის (ფრანგ. Cuvade – გამოჩეკა) სახელწოდება მიიღო. ამ ტერმინით აღინიშნება რიგი ქცევის წესებისა და ხორმებისა, რომლებიც ბავშვის დაბადებასთან არიან დაკავშირუბული და აერთიანებთ ერთი ხაუროო ნიშანი: ყველა მათგანი განეკუთვნება არა დედას, არამედ მამას. წვეულების თანახმად, ბავშვის დაბადების წინ და განსაზღვრული დროის შემდეგაც მამას კერძალუბა მუშაობა, ბასრი იარაღის ხმარება, ვალდებულია დაიცვას დიეტა; ხშირ შემთხვევაში წვება ლოგინში, როგორც შშობიარე და ა.შ.

ჯერ კიდევ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ქუვადის შესახებ გამოითქვა ორი განსხვავებული აზრი. პირველის თანახმად (ბახოლენი, ტეილორი) ქუვადის ჩახახვა განეკუთვნება დედისეული გვარიდან მამისეულზე გადახვლის პერიოდს, როდესაც მამა ითხოვს უფლებების განმტკიცებას შეიღებსკ, რომლებიც აღრე დედასა და მის გვარს ეკუთვნოდნენ; ქუვადისათვის დამახასიათებელი ხიმბოლური აქტის ხაშუალებით მამა თავისად ცნობს შვილებს. მეორე თვალსაზრისი ამ წევულებას მაგის თეორიის პოზიციებიდან ხეხის (ტეილორი, ფრეზერი) /188, 41-42/. ორივე თვალსაზრისს დღემდე თავისი მომხრევები ჰყავს. იმ ავტორებთანაც კი, რომლებიც მხარს უჭერენ პირველ მოსაზრებას, აღი-

არებულია კუვადას წვეულებაში მაგიის კანსაზოდებული ელჭმენტების არსებობა /186, 16/.

აღნიშნულმა ფაქტმა და იმან, რომ ქუვადა წყვილები დამახასიათებელია კუვადასთან დაზღვრულ უფელა წვეულებასთან, დაბადა აზრი: არ შეიძლება მისი ახსნა ვიწო ასცექტით, კურძოდ, შობის იმიტაციით /188, 44/. მაგია კუვადისათვის დამახასიათებელია არა როგორც გვიანი მოვლენა, უკვე ჩამოყალიბებულ წვეულებაზე დაფუნილი, არამედ ამ მოვლენის ჩასახვის დროიდანვე არსებული; მხოლოდ მოგვიანებით წამოიწვეს წინა პლანზე მამის სურვილი – ხაზი გაუსვას თავის პრიორიტეტსა და როლს ბავშვის განენაში, თავის უფლებებს შვილებზე /188, 44-45/.

როგორც ვჩახეთ, კუვადის ხახელით ცნობილი წვეულება დაკაგშირებულია მხოლოდ და მხოლოდ მამასთან და არა დედასთან; წვეულებაში მაგიის ელემენტები, რაც გამოიხატება შშობიარისადმი ხელშეწყობის სურვილში, პირველადია, ხოლო განაცხადი მამობრივ უფლებებზე – მეორადი.

ახლა გავეცნოთ ჩვენს მიერ ველზე მოკვდეულ დასავლეურ-ქართულ მასალას; დავიწყოთ შეგრულით:

ძეკვად სამყარეოში, თუკი ახალ რძალს ერთი წლის გასვლის შემდეგ შვილი არ ვეოლებოდა, იტყოდნენ: „ნერნი გოჭკორელი რენია“ (ფუძე გამწყრალი არისო); თუ დაიდნენ, რომ მის შემოსვლას ოჯახში ფუძის მფარველი („ნერნი პატრონი“) უკავყოფილებით შეხვდა და ამის გამო ერთმა წელიწადმა, რომელიც პატარძლისათვის ახალ ოჯახში თავისებური აკლიმატიზაციის პერიოდი იყო, „უნაყოფოდ ჩაიარა. ამიტომ ოჯახის წევრი ქალები ასრულებდნენ კ.წ. „ნერნი გითოხვამას“ (ფუძის გამოღოვცვა). ამ დღისთვის რაიმე საგანგებო შზადება არა ჰქონიათ და მისი შესრულება შეიძლებოდა ნებისმიერ „გმპშ“

2 „გვეულა“ დღედ სამეცნიერო ინიციება სამშებათი, ხუთშებათი, ჰაბათი და კეირა.

კოპა დღეს „ნერჩი გითოხვამა“ აუცილებლად ზამთრული უნდა მომხდარიყო მამაკაცთა დაუსწრებულით. უნდა ქალს დაწოქდოს უნდა შემოვვლო კურის (მუცელის) გარშემო სამჯერ ისკ. რომ წინ ოჯახში წეულული ქალი გასძღვოლოდა ანთებული სანთლული ჰქონილი მის კა თან კულტა: „ნერჩი ბატონო, ნუ გაუწერები და წყალობას ნუ მოაკლებ უბერესს, თუ დანაშაული აქს, შენ აპატიქ, შენი სახელი დაიღოცო“.

თუკი „ნერჩი გითოხვამა“ კერ უშველიდა ქალს, მაშინ იტყოდნენ: „თვექიანი ნერჩის აფუ ჭოფილი“ (იქაურ ნერჩის ჟყავს შეაურობილი) და მამისულ სახლში აგზავნიდნენ. იქაც მხვავხი რიტუალი სრულდებოდა, მხოლოდ ნერჩის შესთხოვდნენ „გაუშვა“ ქალი ქრისტიანებში. თუ ესეც უშედეგოდ ჩაივლიდა, ქალი „მოსქე-წანერის“ ეკლესიაში მიძყავდათ გამოსალოცად; ყოფილა შემთხვევები, რომ „კვევ „მოსქე-წანერიდან“ მობრუნებული მუცელზე ბალიშს აიკრავდა და ისე დაბიოდა, როგორც უკემძიმე... ბოლოს დაასკენიდნენ. „უხექ“ (უნაყოფო) ყოფილათ და გადაწყვებდნენ ბავშვის აუკანას.

შეიგულებდნენ ორსულ ქალს, გამოიკითხავდნენ ოჯახისა და წინაპრების აკარგიანობას და თუ უველა მონაცემი დააკმაყოფილებდათ, წინასწარი შეთანხმების შემდეგ, მწვრთდნენ საჩუქრებით დატვირთულნი. ვიღრენ წეილს წამოიყვანდნენ, ტარდებოდა რიტუალი, რომელსაც „მუტუშა კიბირიში გადღემას“ (მუტუშე კიბილის დაგმას) ეტყოდნენ. უშვილო ქალს ბავშვის დედის ძუტუზე კიბილი უნდა დაედგა და ეთქვა „ხი – დიდა, მა – სქუა“ (შენ – დედა, მე – შვილი), რაზედაც კიბილდადგმული პასუხობდა: „ხი – სქუა, მა – დიდა“ (შენ – შვილი, მე – დედა). ასე ამბობდნენ მამინაც კი, როცა „უხექ“ ქალი ახალშობილის დედაზე უფროხი იყო. ამის შემ-

3 „მოსქე-წანერის“ ხატი შეიღიერების მომნიჭებლათ ითვლებოდა.

დეგ ოჯახებს შორის მქიდრო ნათებავრომ „კუნირი მყარდებოდა და ახლო ურთიერთობა პქონდათ. ბავშვი ამ დღიდან დაახლოებით ერთი კვირტენ შემოწერა მიყავდათ ხახლში. ამასობაში მომავარტო ცალკე შემოწერა განახლის დღეს ხანგებოდ მოიწვევდნენ ბებია ქალს „დედოფანიას“ // „დედოფანიას“ და ქალს „მოხალოონებლად“ ჩააწვენდნენ; შემდგე კოვალივე იხე სრულდებოდა, როგორც ეს თ. ხახლკასა და ს. მაქალათიას აქვთ აღწერილი.

„მითორგინაფას“ მხვავები წეველება განხხავებული ხახით დავამოწმეთ საქართველოს სხვა ქუთხებშიც ახე მაგალითად, გურიაში შვილის აყვანის დღეს მოიწვევდნენ ახლო ნათებავებს, აგრეთვე ბებია ქალს, მომავალი დედა ლოგინად წევბოდა, ბებია ქალი კი აიღებდა დედის პერანგს, რომელსაც ერთი ბოლოთი მიკერძებული პქონდა დაახლოებით I მ. სიგრძის ლენტი, რომლის მეორე ბოლოს წვილი შემოაკრიცდა წელზე და ჭიპთან გაუნასკვავდა; შემცირე მთლიანად პერანგში შეახვევდა და შეორდინარებ მოუწევნდა. ახე დააძინებლენენ ბავშვებს. თუ იგი მაღვე და შშვიდად დაიძინებდა, იტყოდნენ – „მოსიუ ვარულე და დამჯერი ბაღანა იქნებაო“. შერე ბებია ქალი ან თოახში მუოფი ვინმე მანდილოსთაგანი გარეთ გაფილდა და მომავალ მამასა და სტუმრებს ამცნობდა – „ბადანამ დეიძინა“. როგორც კი გაიღვიძებდა და ატირდებოდა წვილი, მამასა და ოჯახის სხვა წევრებს მოულოცავნენ შვილის შექმნას... გამოღვიძებისთანავე წვილის პერანგიდან გამოიწავდებდა ბებია ქალი და ლენტები ჭიპთან შეაჭრიდა. ლენტი ერთ წლამდე უნდა ეტარებინა ბავშვებს, ამიტომ წელზე იხე უნდა პქონდა შემოკრული, რომ არ შეწუხებულიყო. ამის გამო, როცა ჟაჟ გაზრდილის დაცინვა ან გამოჯავრება უნდოდათ, ეტარებინა: „წა,

4 სიტყვა ორნანილედია; მისი პირველი ნანილი „დედო/დედ“ – დედას ციხავებს, ხოლო „ფანია“ – მრავალრიცხოვან და გაუყოფარ იჯახს. ასე რომ, „დედფანია“ ძველქართული სოციალური ტერმინის „დიახახლისის“ ტოლიარდია.

შე „სონრაიანო“ პერანგს, რომელშიც ბავშვი იყო ასახული, მიკერძებულ და გადაჭრილ ლენტთან კრთად ინახავდ, სენ; როდესაც ამ წესით აყვანილი დკლიტ პრიტჩელი<sup>5</sup> შეივ გარდაიცვლებოდა, ხაფლავში, ლტტტტტტ პრიტჩელი<sup>6</sup> პერანგს ატანდნენ: „მისიანგბში არ გაღვიძესთ“. „თუ ბადანას ამფრად კუჭანდი – გვითხრა ინფორმატორმა, რომელიც არაურთხევდ კოფილა მოწმე ამ ჩვეულებისა, – დვიძლი შვილივით იქნებოდაო“<sup>7</sup>.

საინტერესო ცნობას გჭავდის შეკრალი პ. წერეთშვილი მოთხოვდა „მამილა ასმათი“, ხადაც აღწერილია შეკვე ზრდასრული ადამიანის შვილად აყვანის წესი: „ერთხელ ქვრივმა შეიკერა დიდი, ვანიერი პერანგი, რომელშიც ორი კაცი კარგად მოთავსდებოდა. დაიბარა მოძღვარი; მიიპატეა ოთარის ცოლი და მეზობელი, ოთარიც აქ იყო. ასმათმა უთხრა ოთარს: „მე – დედა, შენ – შვილიო“ მერე გადაიცვა ტანისამოსზე დიდი პერანგი, მიგ ითარი გააჭრინა, შემდგვე გადმოაგდო ძუძუ და ზედ კბილი დაადგმევინა. მოძღვარმა აიახმის წეალი შეკრთხა. ამის შემდეგ უკალა დარწმუნდა, რომ ოთარი ასმათის ნამდვილი შვილობილი კოფილა“ /98, 472/.

მოზარდის ან უკვე ზრდასრული ადამიანის შვილად აყვანის ზემოაღწერილი წესი დავამოწმეთ იმ კრეთში; ამავე რეგიონში დავადასტურეთ ნაშილები ჩეილის დედის პერანგში გახვევა და მიხი შეგორება „მშობიარის“ ლოგინში.<sup>8</sup>

„მშობიარის“ ლოგინში ახალაყვანილის შეკრება გავრცელებული კოფილა ჩენწებშიც.<sup>9</sup>

ინტერესმოქლებული არ იქნებოდა აქვე გაგვეხსენებია აღმოსავლეთ ხაქართველოს მთიანეთში გავრცელებული „ხაწულება“ და „მისამბარეოს“ წესები,

5 ოლღა ინწკირველი, 75 ნლის, სოფ. მთიანეთი (მახარაძის რ-ნი), 1978.

6 დომინა მესხიშვილი, 79 ნლის, სოფ. პირეველი სეირი (ზესტაფონის რ-ნი), 1982.

7 ცნობა შოგვანოდა თსუ ფილოლოგის უაკულტეტის ყოფილმა სტუდენტმა მ. მამუკოვმა.

бесмъртници участват в ритуала със земята и бъдещите деца. Това е свидетелство за традиционната българска практика да се използват ритуални обичаи за подпомагане на бременността и родовия процес. Ритуалът е свидетелство за традиционната българска практика да се използват ритуални обичаи за подпомагане на бременността и родовия процес.

Софийският археолог Георги Симеонов пише: „Если вы инсценируете рождение на свет мальчика или даже бородатого мужчины, который не имеет в своих жилах ни капли вашей крови, то, согласно примитивному праву и примитивной философии, этот мальчик или мужчина является вашим сыном в полном смысле слова. Диодор рассказывает, что, когда Зевс убедил свою ревнивую жену Геру усыновить Геракла, богиня слегла в постель и, прижав к своей груди дородного героя, протолкнула его через своё одеяние и уронила на землю в подражание действительным родам. Историк добавляет, что тот же способ усыновления детей практикуется современными ему варварами. Этот обычай распространён также в Болгарии и среди боснийских турок. Женщина берёт мальчика, которого намеревается усыновить, и проталкивает его под своими юбками. После этого он считается её сыном и наследует все состояние своих приемных родителей. Женщина племени бараван из Саравака (о. Борнео, современный Калимантан), вознамерившись усыновить взрослого мужчину или женщину, собирает множество людей и устраивает пиршество. Восседая на виду у всех на возвышающемся, покрытом тканью сиденье, приемная мать позволяет усыновляемому сзади проползти между её ногами. Как только он выползает спереди, его... привязывают к женщине. Затем связанные, приемный сын и мать на виду у зрителей ковыляют в другой конец дома и обратно. Связь, возникшая между ними путём наглядной имитации акта деторождения, является очень

სილიოი“ /187, 24-25/. ჯ. ფრეზერს აღწერილი ასეთი მხრიცა/ ლიონს მრავალ ხალხში გავრცელებული ერთი მეტად საინტერესო ჩვეულება, რომლის თანახმადუფრული მდგრადი შობის სიმბოლური აქტი სრულდება მგრძნობრივი ეკადამიანს შემთხვევით მქოდრად ჩათვლიან /187, 25/.

როგორც ეხვდავთ, ზემოთ აღწერილი ქართულ-კავკასიური და ზოგადი ეთნოლოგიიდან ცნობილი მასალები მირითადად ერთი ტიპისანი არიან და უკავშირდებიან ადოპტაციის დროს დედის მიერ შვილის შობის სიმულაციას. მასალა პირობით ად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. შობის იმიტირება ბავშვისა და ქალის კონტაქტის გზით და 2. შობის იმიტირება შვილადაყვანილისა და დედის პერანგის კონტაქტის გზით. თუ დავუშვებთ იმას, რომ პერანგი ამ შემთხვევებში გააზრებულია, როგორც ქალის ხაშო ან დედაკაცობის აქსესუარი, მაშინ მასთან ბავშვის კონტაქტი აღიქმება, როგორც დედის ხაშოში ჩვილის ჩაბუდრება ან კიდევ ქალურ ხაწყისთან ზიარება.

„მითორგინაფასა“ და მის მხატვებს მასალებს თუ ჩატაცირდებით ვნახავთ, რომ აქ ერთმანეთთან შერწყმულია ორი, თავის დროზე დამოუკიდებლად არსებული ჩვეულება: პირველი და უფრო ადრეული ჩანს ჩვეულება, რომლის თანახმად უნაყოფო ქალი გარევეშლი დროის განმაფლობაში მუცელზე ბალიშაკრული დადის; მეორე და შედარებით გვიანდედი - შვილის აყვანის დროს შესრულებული სიმბოლური აქტი - შობის სიმულაცია.

უშვილო ქალის მიერ მუცელზე ბალიშის ან მუთაქის აკვრა, ახევე თოჯინისა<sup>8</sup> თუ მინიატურული აკვნის ტარება თითქმის მთელ საქართველოში ყოფილი გავრცელებული.<sup>9</sup> ამ რიგის მასალები კარგადაა ცნობი-

<sup>8</sup> ინტერესს ინვევს უშვილო ქალის მიერ თოჯინის ტარების ჩვეულება და მიზი შედარება კარგად ცნობილ დაკვირვებასთან, რომლის თანახმად ის, რაც თავის ფრთხი უფროისი თაობისათვის სერიოზულ საქმიანობას ნარმოადგენდა, მოვალეობით ბავშვების გასართობი ხდება /183, 68-69/.  
<sup>9</sup> ქართლური, კახური, იმერული, გურული და მეგრული სათანადო მასალები ინახება აფტორთან.

ლი მსოფლიოს ხევადასხვა ხალხის კულტურული ძეგლი /187, 23-24/.

აღნიშნული წევულება სრულდება უჩვეულებელება გამოიწვიოს სასურველი შედეგი - ტურქეთის ტურქი და შვილის შობა. აშკარაა, რომ ეს რწმენა მომდინარეობს იმიტაციური მაგიის იმ პრიციპიდან, რომლის თანახმად მსგავსი იწვევს მსგავსს ანუ მსგავსი მსგავსის იდენტურია.

როგორც ვიცით, კაცობრიობის განვითარების არცერთ საფეხურზე დედა უცნობი არაა, ე.ო. დედა-შვილს შორის ბიო-გენეტიკური კავშირის არსებობა ეჭვს არ იწვევს, როგორც ეს, ვთქვათ, მამობასთან მიმართებაშია. ერთადევროთი შემთხვევა, როცა საზოგადოება ითხოვს დედა-შვილს შორის დამოკიდებულებაში ბიოლოგიური საწყისის ხაზგასმას, არის აღორციელის შემთხვევა. ვინაიდან ხაზოგადოება მშობიარობის გარეშე არ ცნობს დედა-შვილს, ხაქირო ხდება ხათანალო ხიმბოლური აქტის შესრულება - შობის იმიტაციური, რაც ხორციელდება კიდეც. ხიმბოლური აქტი ნამდვილი მოლოგინების ტოლოვარდადა მიჩნეულია.

ამრიგად, „მითორგინაფა“ ბიოლოგიური დედობის მასანქციონირებელი წეს-ჩევულებაა. ხიმულაციური აქტი გვიჩვენებს, რომ ბავშვი დედის დვიძლი შვილია და მათ შორის კავშირი ისეთივეა, როგორიც წევულებრივ უნდა ყოფილიყო. შობის იმიტაციით, ე.ო. ბიოლოგიურ-გენეტიკური კავშირის ჩვენებით ქალი იმავროულად ხდება ხორციალური დედა; ბიოლოგიური დედობა აფუძნებს ხორციალურ დედობას.

როგორც ვნახეთ, „მითორგინაფას“ წეს-ჩევულებას ხაგულისხმო არაფერი აქვს იმ აზრთან, თითქოს იგი უკავშირდებოდებს მამის უფლებას: უფრო მეტიც, მამა აქ ხაერთოდ არა ჩანს; ეს უკანასკნელი უფრუნქციოდა დარჩენილი მაშინ, როცა დედა აღნიშნული ჩევულების მთავარი გმირია. ქმარი ცოლის მიერ ხიმბოლური აქტის შესრულების გზით ხდება ხორციალური მამა;

მისი ბიოლოგიური მათება ეჭვმიურანებულია სათვალავში ხაერთოდ არ მიიღება. რაც შეეხება, უკავით დახახელებულ ავტორთა შეცდომას უწყვეტესობის თორგონაფასა“ და კუვადის წვეულებათა უწყვეტესობის უკავით მხგავხების შედეგია.

წვენთვის საინტერესო წეს-ჩვეულება დასაბამს იმ პერიოდიდან უნდა იღებდეს, როდესაც პრაქტიკაში შემოდის აღოპტიკია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ასრი, რომ იგი წევილადი თჯახის არსებობის ხანიდან მომდინარეობს /175, 207/, რაც ნაკლებ სარწმუნო ჩანს. მართალია, გვაროვნული საზოგადოების პირობებში აღგილი პქონდა ერთი გვარის მიერ სხვა გვარის წევრის შეიღებას, მაგრამ ეს უკანასენჯლი სულ სხვა მოტივირებით ხდებოდა. რაც შეეხება წევილად თჯახის, იქ აღოპტიკისათვის ხათანადო ექონომიკური საფუძველი არ არსებობდა. ასეთი ექონომიკური და ხამართლებრივი საფუძველი მხოლოდ მონოგამიური ოჯახისათვის არის დამახასიათებელი და შეიძლის აუგანის წვეულებას სწორედ მის პირობებში უნდა მიეღო ფართო გავრცელება. რამდენადაც წვენთვის ცნობილია, მხოლოდის არც ერთ სხვა ხალხში, რომლებიც მონოგამიურ თჯახის არ იცნობენ, ფიქსირებული არაა აღოპტიკის დროს ქალის მიურ სიმბოლური ძქტის შესრულება.

ზემოთ ვწერდით, რომ კუვადა და „მითორგინაფა“ თავიანთი მინაარხით განსხვავებული წეს-ჩვეულებებია, ხოლო ფორმისეული თვალსაზრისით – შობის სიმულაციით ერთმანეთს უახლოვდებიან. სწორედ ამ ხაერთო გარეგნული ნიშნების გამო შეიძლებოდა, ბერმინ Cuvade-ს ქვეშ გაგვეერთიანებია ორივე წეს-ჩვეულება იმ შემთხვევაში, თუკი მას ტერმინ-კომპოზიტად ვაქცევდით, კ.ი. ჩვეულებას, რომელიც მამასთანაა დაკავშირებული ვუწოდებდით Patricuvade-ს (მამა ჩეცს, შობს), ხოლო ჩვეულებას, რომელიც დედასთანაა დაკავშირებული ვუწოდებდით Matricuvade-ს (დედა ჩეცს, შობს).

მართალია, „მითორგინაფა“ ბიოლოგიური ტერიტორიის მასანქციონირებელი წეს-ჩვეულებაა, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, გვეთქვა: მეტრელის „შესკრინებული ტერიტორია“ ან „მამობა“ ბიოლოგიურ მიულტიპლიტერისტულ გენდა. პირიქით, როგორც ამაში ქვემოთ განხილული „თმის ნამოგდების“ წახი გვარწმუნებს, ნათესაური ურთიერთობა აღიქმებოდა, როგორც სოციალური საწყისით დამუხტებული ფენომენი.

### პ. „თამაში გაეროთავა“ (თმის ნამოგდება)

სამეცნიეროში ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა რომელიმე გარდაცვლილი ნათესავის (დედის, მამის, შვილის, მშის ან დის) „მონაცვლის“ აუვანის ჩვეულება. იგი თანხმებული იყო ძალაშე საინტერესო რიტუალით, რომელსაც „ომურგუალე თუმაში მუქოთამას“ (სამგლოვიარო თმის ნამოგდებას) ან „უბრალოდ „თუმაში მუქოთამას“ ეტყოდნენ. შეიდის, მშის და დის „მონაცვლის“ აუვანასთან დაკავშირებული წესები აღწერილი აქვთ თ. სახოკიას /78, 75-77/ და ს. მაკალათიას /50, 289-290/. აღწერეს რა ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, აღნიშნულ მკვლევარებს მიხსოვის საგანგებო ყურადღება არ დაუთმიათ; არ უკლევიათ მიხი განეტიკური წარმომავლობა, სოციალურ-რელიგიური საწყისები; მიუთითეს მხელოდ ჩვეულების გარეგნულ ხასიათზე – გარდაცვლილის „მაგიურის“ შეძენაზე სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მონაცვლე“, მათი აზრით, გარდაცვლილის ამქვეყნიური ემანაცია /78, 75-77; 50; 289; 290/.

აღნიშნული მოვლენის სოციალური ბუნების გახარისვად აუცილებელია, გავეცნოთ ჩვენს მიერ ვეღუზე მოკვლეულ მასალას, მით უმეტეს, რომ თ. სახოკიასა და ს. მაკალათიას აღწერილობანი მოყლი სისრულით ვერ ასახავენ „თმის ნამოგდებით“ აღნიშნული ჩვეულების ყოველ მხარეს, რამდენადაც იხინი

ეხებიან მხოლოდ გარდაცვლილი შეიღის, მთის ან დის ნაცვლად აყვანილთან დანათესავებას და გვერდს უკლიან გარდაცვლილი მამის ან დვილის აქტუალურობის მოშვებული სამგლოვიარო თმის ჩამოგჭმულ წესის ეს რომელიც ამჯერად გვაინტერესებს.

გარდაცვლილი შშობლის სახელზე მოშვებული „სამგლოვიარო თმის ჩამოგლების“ რიტუალი სრულდება წლისთავზე ან ორმოცხველ საფლავიდან მობრუნებისა და საამდგისოდ გამართულ სუფრასთან დასხდომის წინ. ის პირი, ვისაც „მონაცვლედ“ ირჩევენ წინასწარად ინფორმირებული. საამისო სურვილს მომავალ „მაგივრს“ გარდაცვლილის ერთ-ერთი შვალი (ვაჟი) უცხადებს. თუ ბავშვები მცირებულოვანნი არიან, არჩევანი შშობლის სურვილზეა დამოკიდებული.

საინტერესო საკითხი, თუ ვისი აყვანა შეიძლება და ვისი არა გარდაცვლილი შშობლის „მონაცვლედ“. ინფორმატორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მამის „მონაცვლედ“ არ ეგბორდა დედის ძმისა და საერთოდ არცერთი მამაკაცთაგანის აყვანა კოგნატთა წრიდან, ასევე ნათლისა (მორდია). როგორც გადმოგვცემენ, ძველად სამეგრელოში მამის მაგივრ გარდაცვლილის ძმას ან, ბიძაშვილს იყვანდნენ; მოგვიანებით სხვა გვარის წევრთან დანათესავების ტრადიციაც დამკვიდრებულა.

დედის მონაცვლედ არა პამლა გარდაცვლილის რძლის (შვილის ცოლის), მამიდის და საერთოდ არცერთი სიხსლიერი ნათესავი ქალის აყვანა აგნატთა წრიდან; შეიძლებოდა და განხსაცუთრებით სასურველი იყო ბიცოლა და ლელის და; მოგვიანებით ახლო მეზობელ ქალთან დანათესავება დაუწყიათ.

„ომორგუალე თუმას“ (სამგლოვიარო თმას) მგლოვიარეს „მონაცვლედ“ (მანგიორი) არჩეული პირი აჭრის პირისახეზე (თუ ჭირისუფალი წევრმოშვებულია) ან თავზე მოჭრილ თმას „მონაცვლე“ და მგლოვიარე

მკერდში იყრიან იმ რწმუნით, რომ „მოყვას-აუკანისლიმა“ შეისხებლხორცის კრთმანეთი. ყოფილია შემთხვევები, როცა „მუმაში თუმა“ („მამის თმაში ჩატაჭულ უშედებები მამის ხახელზე მოშეკებულ სამგლურგზე მწის) შევიდა ბიძას (მამის ძმას), „ჩამოავდებია“. ამ უკანასკნელმა კი „მის თმა“ გარდაცვლილის ვაჟს, რახაც „თუმაში გოთირუას“ (თმის გაცვლას) ებუოდნენ.

„თმის ჩამოგდების“ შემდეგ „მონაცვლე“ „მუმაში მანგიორი“ (მამის მაგიერი) ან „დიდაში მანგიორი“ (დეკის მაგიერი) ხდება და ახეც მიმართავენ მას; ხოლო „მონაცვლები“ გარდაცვლილის შეიღებს „ხქალებად“ (შვილებად) მოიხსენიებენ. რაც შეეხება გარდაცვლილის მეუღლეს, მას ეკრძალება ხახელით მოიხსენიოს „მონაცვლე“ მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი მეზობელია და აღრე შევმლო ხახელით მიუმართა. იგი „მონაცვლეს“ უწოდებს „ჩქიმი ხქალებიში მუმაში მანგიორი“ (ჩქიმი შვილების მამის მაგიერი) ან „ჩქინი მანგიორი“ (ჩქენი მაგიერი); ასევეა დედის მონაცვლის მიმართაც.

„თმის დაყრის“ შემდეგ ხდება კ.წ. „უნა ბარგიში დორდვაფა“ (შავი ტანხაცმლის დაყრა), რითაც საბოლოოდ მთავრდება შპლოვიარობა. ვიდრე შპლოვიარე ტანისამოსის გამოიცვლიდა, სრულდებოდა კ.წ. „კუნჩიში ბონუაში“ (ფეხის დაბანის) რიტუალი. მამის მონაცვლისთვის გარდაცვლილის მეუღლეს ფეხი უნდა დაუბანა, ან დედის მონაცვლეს – გარდაცვლილის ქმრისათვის. „ფეხის დაბანის“ რიტუალი სრულდებოდა ცალკე თთაში; თუკი საამისო პირობები არ ჰქონდათ და ოჯახს ერთი თვალი ხახლი ვდგა, მაშინ იქ მყოფთ თთახი უნდა დაეცალათ და გარეთ დალოდებოდნენ.

10 ძეელად სამეგრელოში ნესად ჰქონიათ მიცვალებულის გასვენებისას იმ ზის მოჭრა, რომელიც მის ხახელზე იყო დარგული. „მონაცვლის“ ფეხის ნაბანი ნელით მისი მორჩილე იმ აზრით უნდა იყოს დატვირთული, რომ ხის ფეხსვებითან ხელაპლა განაყოფიერებულმა მცენარეები იმიტრიდან „მაგიერის“ ხახელი ატაროს.

ფეხის ნაბან წყალს, თუ იგი მამის მონაცელებს კუთხით  
ოდა, როგორც გაღმოგვცემენ, უსხამდნენ მიცემული  
ლის გასვენების დღეს მოჭრილი ხის ძირს.<sup>11</sup>

მონაცელება და გარდაცვლილის შვერტი მურტები  
ხდება საჩუქრების გაცვლა; „მაგიერს“ სხვამარისის,  
აძლევენ გარდაცვლილის ტანხაცმელს ან სხვა რაიმე  
ნივთს, გარდა კ.წ. „ნიშნისა“ – ესაა მიცვალებულის  
ერთი ხელი ტანხისამოსი, რომელიც დასაფლავების  
დღიდან ტახტზე „განისვენებს“, ხოლო შველოვარო-  
ბის დამთავრების შემდეგ ინახავენ, როგორც ძვირფას  
და წმინდა რელიგიიას.<sup>12</sup>

„მონაცელე“, მოუხვდავად იმისა, ბიძა იქნება თუ ახლო  
მეზობელი, ვალდებულია დამე იქვე გაათიოს; საერ-  
თოდ უნდა ითქვას, რომ იგი ხშირად მოდის ობლებთან,  
ათევს აქ დამეს, ზრუნავს მათზე, ეხმარება სამეურნეო  
საქმიანობაში; მონაწილეობის შეითვის მომზადებასა  
და ქორწილის გამართვაში; მათ შორის კავშირი ისე  
მტკიცდება, რომ უშეიძლოდ დარჩენილი მონაცელე თავის  
მქონეილრეობას გადასცემს არა რომელიმე უახლოეს  
ნათესავს, არამედ გარდაცვლილის შვილს. ჩვენს მიერ  
ჩაწერილია შესაბამისი მასალები, რომელთა მიხედვით  
ერთ შემთხვევაში მონაცელედ გამოღის გარდაცვლი-  
ლის ძმა და ბიძაშვილი, მეორე შემთხვევაში კი –  
არანათეხავი. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ახალგაზრ-  
დობაში დაქვრივებული ქალი თავის უბიწოებას შეინ-  
ახავს. რაც გამოიხატება გარდაცვლილი ქმრის ერთ-  
გულებასა და გაუთხოვრობაში, ეს „მონაცელის“ დიდ  
დამსახურებად და სახელად ითვლება; პირიქით, „მონაცე-  
ლის“ შერცხვენაა ქრისტის მიერ ოჯახის მიტოვება და  
გათხოვება, განსაკუთრებით მაშინ, როცა „მონაცელე“  
გარდაცვლილის ძმა; ამიტომაც მტრობს ეს „უანასქნუ-

11 ამ „ნიშანს“, რომელიც მიცვალებულის კულტთან ერთად ნინაპრის  
კულტსაც უკავშირდება, სამეცნიეროში აზომებდნენ იჯაბის ზრდასრულ  
ვაჟს ან ქალიშვილს, რაც, უკაველია, მიცვალებულის თუ ნინაპრის  
დათხოვებრივ ძალასთან ზიარების იდეას შეიცავს.

ლი ყოფილი რძლის ახალ ქმარს. ხაინტერცხვას იკონაშნოს, რომ ქვრივისა და მაზლების ურთიერთობა ასეთივე სახიათს ატარებდა ხევშიც /37, ჟურნალური/.

დედის მონაცელე ვალდებულია, პირულებულების და ბავშვების აღხრდაში; ხშირად მოდის მათთან, ურკცხავს, უმსადებს საჭმელს, ყოველმხრივ ცლილობს ბავშვებს უდევობა არ აგრძნობინოს. როცა დედის „მაგიური“ გაუთხოვარი დეიდა, იგი ვალდებულია ქრისტიანი როი წელი (იმის გათვალისწინებით თუ რა ხნისანი არიან ბავშვები) დარჩეს მათთან. როგორც ჩანს, თბლებზე დიდი მსრუცხელობის შედეგია ის, როცა დედიაგარდაცვლილი ქალიშვილი თხოვდება, ხიდე ე.წ. „ნაჭერარს“ აძლევს საცოლის დედის „მონაცელეს“.

ასეთია ნეკნი მასალა.

ხპეციალური ლიტერატურიდან კარგად არის ცხობილი ქართულ-ქავგახილური მასალები შვილობილობის, ღობილ-მობილობისა თუ დედობილ-მამობილობის შესხებ; ხელოვნური დანათეხავების გზით მიღებულ ამ ურთიერთობებს ხაფუძვლად ხევადასხვა მოგრძივი უდევს. აღნიშნული პროფილის მასალებს შემორტყმი „თმის ჩამოგდების“ წესთან შეხების წერტილი მაშინ აქვს, როცა ისინი ითვალისწინებუნ გარდაცვლილი ნათეხავის „მონაცელის“ შეძენას და არა ხელოვნურ დანათეხავებას ხევა მოგრძივო, ვთქვათ, თუნდაც ხვანური ლინტერადის წესში დაცული დობილ-მმობილობისა თუ დედობილ-მამობილობის ხასით /104, 67-69/. შვილისა თუ მის „მაგიურის“ აუვანა, ჩვენის აზრით, განხნილი უნდა იყოს განვითარებული გვარის ამა თუ იმ წევრის გარდაცვალება გაიაზრებოდა მისი, როგორიც კონიმიცერი (მუშა-ხელის დაკარგვა), ასევე სამხედრო (მებრძოლის დაკარგვა) ძლიერების შესუსტებად. ხწორებ დახუსტების შიში უნდა აემულებინა გვარის წევრები ატარება გარდაცვლილის „მონაცელე“ ხევა გვარიდან, რაც იმავდროულად

იგულისხმებდა ხელოვნურ დანათესავებას ამნაციურებლად არა რომელიმე ერთ პირთან, არამედ მოელ გვათავითან. ამ სახით იგი მოკავშირეს იძენდა. თავისი ტენის ტიკური წარმომავლობით ამ უკანასკნელის გრძელებაზე მიმდინარე ბრივად განხსხვავდება გარდაცვლილი მძიმელის „მონაცელის“ აუვანის წესი.

გარდაცვლილი მამისა თუ დჯლის „მაგიერის“ აუვანა, მოუხედავად წვენი მრავალგზისი ცდისა, კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ხალხებსა თუ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში ვერ დავამოწმეთ; თუ არ ვცდებით, იგი არც სათანადო ლიტერატურულ მონაცემებშია ფიქსირებული. შესძლოა, საქართველოს რიგ კუთხეებში ბოლო დრომდე დაცული სამგლოვიარო თმის მოკვეცა სხვა გვარის წევრის მიერ,<sup>12</sup> ერთ დროს ამ უკანასკნელის სახით გარდაცვლილი შვილის, მის, მამისა თუ დჯლის „მაგიერის“ შეძენას გულისხმობდა.

მეგრულ „თმის ჩამოგდებით“ ხახელდებულ წეს-წვეულებაში ერთმანეთზეა დაფენილი ორი სხვადასხვა შინაარსისა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდში ჩამოყალიბებული წვეულება – პირველი და უფრო ადრეცელი ჩანს გარდაცვლილი მშობლის „მონაცელის“ აუვანის ტრადიცია, მეორე და შედარებით გვიანდელი – გარდაცვლილი შვილი, მის, დისა და სხვათა. პირველ შემთხვევაში „მონაცელება“ სოციალურ დედობასა თუ სოციალურ მამობას გულისხმობს; მეორე შემთხვევაში კი – ხელოვნურად დანათესავებას, რაც ნაკარნახევია ამა თუ იმ ნათესავის გარდაცვალებით გამოწვეული დანაკლისის აღდგენით; თუ შეკიდლება ითქვას, „მაგიერის“ შეძენით გარეკვეული დირექტულება კომპენსირდება მეორე კვეთვალენტური დირექტულებით.

გარდაცვლილი მშობლის „მონაცელება“ არანათვსავის, ე.ო. სხვა გვარის წევრის აუვანა, რაც სავალე

12 სათანადო კურული და იმერული შასალა ინაზება აეტორთან.

ინფორმაციული მასალით და წევნი დოქტორ რამიშვილი, შედარებით ახალი მოვლენა ჩანს, ხელოვნური დანათეხსავების გზით ხოციალური მშემქმნელი წევჭრის ითვალისწინებს. რაც შეეხება მამის ჩატარებულ კულტურულ ძმისა თუ აგნატ ნათეხსავთა წრიდან რომელიმე მამაკაცთაგანის აყვანას, დედის „მონაცელებ“ კი – ბიცოლის, დედის ან კოგნატთა წრიდან რომელიმე ქალთაგანის აყვანას, აქ ხულ ხევა წესის გაღმონაშოური ფორმის არსებობა უნდა ვივარაუდოთ. შესაძლებლად გვეჩვენება, იგი იმ მორეული წარსულის გაღმონაშთად ჩავთვალოთ, როცა პრაქტიკაში იყო ლევიტატ-ხორორატის წესი. აი, ხაფუძველი იმისა, რამაც ნეკა ახეთ დასკვნამდე მიგვიყვანა:

1. გარდაცვლილი მამის მონაცელებდ ბიძის (მამის ძმის) ან მარტოლებებ აგნატთა წრიდან რომელიმე მამაკაცთაგანის აყვანა.

2. გარდაცვლილი დედის მონაცელებდ ბიცოლის (მამის ძმის ცოლის) აყვანა.

3. გარდაცვლილი დედის მონაცელებდ დედის ან მარტოლებებ კოგნატთა წრიდან რომელიმე ქალთაგანის აყვანა.

4. მონაცელის ურთიერთობის ხასიათი გარდაცვლილის ოჯახთან.

5. უშვილოდ დაზენილი მონაცელის მექვიდრეობის გადაცემა გარდაცვლილის ერთ-ერთი შვილისთვის.

6. „მონაცელის“ დამოკიდებულების ხასიათი ქერივისადმი გათხოვების შემთხვევაში.<sup>13</sup>

7. „თმის ჩამოგდების“ წეს-ჩვეულებაში დაცული „ფეხის დაბანის“ რიტუალი, რომელიც მამაკაცისადმი ქალის მორჩილებისა და მათ შორის ინტიმური დამოკიდებულების აზრითაა დამუხტიული.

13 მაზლის დიდი უფლებები ქვრივის მიმართ სამართლიანად იქნა გააზრებული, როგორც ლევიტატული მოვლენის გაღმონაშოი /37, 168/.

8. ქვრივისათვის „მონაცელის“ ხახელით მოსისების ის მკაცრი აქრძალვა მაშინაც კი, როცა „მაგიური“ მისობელია და სხვა დროს შევძლო ხახელით შემზიშვლა<sup>14</sup> ის

მიუხედავად იმისა, არის თუ არა დგენერაციული ნამოგდებით“ ხახელდებულ წეს-ჩვეულებაში ღვვი-რაჯ-ხორორატული<sup>14</sup> მოვლენის გადმონაშოური ფორმა, ერთი რამ ცხადია: ეხად ხოციალური დედობისა თუ ხოციალური მამობის მახანქციონირებელი წეს-ჩვეულება, აგნიშმული წესის შესრულების შემდგა „მონაცელება ხდება ხოციალური მამა ან ხოციალური დედა, რაც ავალდებულებს მას იყოს გარემოშლ უფლება-მოვალეობით ურთიერთობაში გარდაცვლილის შეიღ-თან მაშინაც კი, როცა „მაგიური“ არანათესავია.

## 2. პორნიხეას ნორვეგი

სავალე ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის სამგრელოში ქორწინების პროცესტირება ხდებოდა ისეთი სავალდებულო წინაპირობების გათვალისწინებით, როგორიც იყო ქორწინებასთან დაკავშირებით ნათესაობაში მოქმედი ნორმები, ქორწინების ხოციალურ-წოდებრივი, კროვნული, ტერიტორიული რეგლამენტაცია, ასევე ჯვრისწერის ასაკი.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ ვეხებით ქორწინების მოწესრითებაში კროვნული ფაქტორის როლს. აქვე აღნიშნავთ, რომ რამდენადაც სამეგრელო ძირითადად ხაქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებს (ხვანეთი, იმერვეთი, გურია) ემეზობლებოდა, ქორწინება ხწორებდ ქართული ეთნოსის შიგნით გვარდებოდა; რაც შეეხება სამეგრელოს წრდილო-დასავლეთით მოხახლე

14 აღნიშნული მოვლენა ქართველ ეთნოლოგებს დამოწმებული აქვთ სვანეთსა /104, 70-72/ და აჭარაში /9, 86-89/.

აფხაზურ-ადიღურ ტომებთან ურთიერთობას, მათთვისა, აშვიათი გამონაკლისის გარდა, ერიდებოდნენ პითიან ქორწინებას მაშინ, როდესაც შედარებით, შეორენდები მიმდევადნებიან რძლის მოყვანა ან იქით ქართველი ქართველი შესაძლებელი კონტაქტების ფარგლებში, ფარგლებში, ფარგლებში გავრცელებული. ეთნოსის შიგნით ქორწინების უძირა- ბები მოგვარების გამომწვევი ფაქტორები მეცნიერებისათვის ცნობილია. ამ ხაკითხთან დაკავშირებით ი. ბრომლევი წერს: „Примущественное заключение браков в рамках этносов (эндогамия), обусловливающее существование сопряженной с ним популяций, вызвано не биологическими, а социокультурными факторами“ /119, 18/.

ნაშრომში არ ვეხებით ახევვ ხაქორწინო ურთიერთობების მოწესრიგებაში ხოციალურ-წოდებრივი ფაქტორის განხილვას. უველა კლასობრივიფანტაგონისტურ ხაზოგადოებაში იკრძალებოდა და დღესაც იკრძალება ქორწინება ხხეადახხევა ხოციალურ ფენებს შორის. აღნიშნულ ხაკითხს გვერდი ივუარეთ იმიტომ, რომ ამ მიმართულებით უკვე წარმოებულმა კვლევამ, მანამდე კარგად ცნობილი ფაქტის ხელახლი ქონხტატაციის გარდა, ვერავითარი შედეგი ვერ გამოიდო.

ამრიგად, წინამდებარე პარაგრაფუმი ფურადლება აქვს დათმობილი ქორწინებასთან დაკავშირებით ნათეხსაობაში მოქმედ წესებს, ქორწინების ტერიტორიულ რეგლამენტაციას და ხაქორწინო ახაკს.

### ა. ნათეხსაობაზი მომავალი ჩასახი

წინახწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ეთნოგრაფიული მონაცემებით ხამეგრელოში დამოწმებული ნათეხსაობის ფორმებს – ხისხლიერს, მოყვრობითსა და ხელოვნურს – ვეხებით არა ნათეხსაობის ხისტემის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, არამედ წვენთვის ხაინტერესო ნორმების გამოხავლენად. ამასთან შე-

დარებით ვრცლად შევჩერდებით ხისხლის ნამუშევრის ნამუშევრის დახახიათებაზე.

სამეცნიერო სისხლით ნათესავის აღნატენისადმი გამოიყენება ზოგადი ხახიათის ორი ტერმინი „ნატესება“ (ნათესავი) და „მოჯგირე“ (პირდაპირ თარგმანში – „მოკეთე“). როგორც ჩანს, პირველი ტერმინი ქართული ენის დიალექტურ ვარიანტს წარმოადგენს და მეგრულში შედარებით გვიანაა შემოსული. არც ტერმინი „მოჯგირე“ უნდა იყოს ძალზე ძველი. იგი ნაწარმოებია სიტყვიდან „ჯგირი“, რაც კარგს, წმინდას<sup>15</sup> ნიშნავს და სრულ შესატყვისობაშია ქართულ „მოკეთებთან“. ასევე თუ იხვ, ხწორედ აღნიშნული ტერმინებით მოიხსენიება დღეისათვის სისხლით ნათესავი – როგორც მამის, ასევე დედის ნათესაობის მხრიდან. ნათესაობაში აგნატიკური და კოგნატიკური ხაზის გასარჩევად შეხაბამისად ამბობენ „რჯულით ნათესებური“ // „რჯულით მოჯგირე“ (რჯულით<sup>16</sup> ნათესავი) და „დიდაშარი ნათესებური“ // „დიდაშარი მოჯგირე“ (დედით ნათესავი). ხათანალო მახალა გვიჩვენებს, რომ აგნატურ ჯგუფში შედიან – მამა, ძმა, ბიძა, ბიძაშვილი, ბაბუა, ბაბუას მმა, ბაბუას მმისშვილი, პაპა, პაპის მმა და პაპის მმისშვილი; კოგნატურ ჯგუფში კაურთიანებული არიან – დედა, დედა, დედაშვილი, დედის ძმა, დედის ღვიძა, დედის ბაბუა და დედის პაპა. დავახასიათებთ ორივე ჯგუფში მოქმედ ჩვენთვის ხაინტერესო წესებს.

აგნატი ნათესავები, ე.ო. „რჯულით მოჯგირეეფი“ თავის მხრივ ქმნიან რამდენიმე საფუძველს: 1. „დუდი მოჯგირე“ (თავი ნათესავი); 2. „გალენი მოჯგირე“ (გარე ნათესავი); 3. „ტყერაია მოჯგირე“ (უბრალო ნათესავი) ან

15 „ჯგირი“ ნმინდის შინვენციულობით შზოლოდ ნმინდა გიორგისა („ჯგირი გიორგი“) და მეფეტერეობის შფარველი ლუთაების – „ჯგირაგუნას“ სახელწოდებებში კვლევდება.

16 სიტყვა „რჯული“ კინრო გაეციმ მეცნიულში გვარს (ფისტომშვი) აღნიშნავს.

17 ტერმინის ეტიმოლოგია უცნობია. ფუძის გაორმაგვებით მიღებული ეს სიტყვა ძმარება მაშინ, როცა არ ხერხდება რომელიმე პირთან ნათესაური ურთიერთობის ფადგენა.

როგორც ხშირად მშობენ – „ბოგიში“ პარეალი და მეორე კატეგორიის ნათესაობის ძღვანისავად გამოიყენება ტერმინი – „ზისხირი-ხორცი“ შექმნაზე (როცე).

„დუდ მოჯგირედ“ იწოდებიან ნათესავებრი ტერიტორიაზე ფარიბის ფარგლებში; „გალენი მოჯგირედ“ – 4-7 თაობით დაშორებული, ხოლო „ტყურაა მოჯგირედ“ ან „ბოგიში ბოგად“ – 7 თაობის ზემოთ.

როგორც ხაველე მასალა გვიჩვნებს, „დუდ მოჯგირები“ გაუკოფანი თჯახის კ.წ. „თის“ წევრები არიან. ყოველი ასეთი თჯახი შედგებოდა ego-ს და ego-ს შეიღებისა და შეიღიშვილებისაგან, ასევე ego-ს ძმების, ამ უკანასკნელთა შეიღების და შეიღიშვილებისაგან, კი. „თი“-ში გაერთიანებული იყვნენ ხამი თაობის პირდაპირი და გვერდითი შერეს წარმომადგენლები. მეხამე თაობის დონეზე „თი“ იყოფიდა რამდენიმე თჯახად, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ ხახლობდნენ. ასე წარმოქმნილი რამდენიმე თჯახების. „დუდმოჯგირების“ ხოციალურ გაერთიანებას ეწოდებოდა „დინო“, რომელიც დი-ს ხახლოს ატარებდა. „დინოში“ შემავალი თჯახები გამსხვილების შემდგომ კვლავ იშლებოდნენ და განაყრები თავიანთ მხრივ „დინოს“ წარმოქმნილებ. ყოველი ასეთი „დინო“ მეორის მიმართ იყო „გალენი მოჯგირე“. შეიძირება თაობის შიგნით წარმოქმნილი „დინოების“ ხოციალური გაერთიანება „თური“, რომელიც იწოდებოდა გვარის ამა თუ იმ შტოს დამარსებელი წინაპრის ხახლით. „თურში“ შემავალი „დინოები“ კრიმანეთის „მოჯიმალები“ (მოძმეუბი) არიან, ხოლო თვით „თურები“ – „ტჭურაა მოჯგირები“.

შეუძლებელია ყოველივე ზემოთქმულის ნათელყოფა რომელიმე კონკრეტული გვარის მაგალითზე, რადგანაც თვით გვარის გენეალოგიის დადგენა არ ხერხდება. სამაგიეროდ ჩვენთვის ხაინტერესო სურათის წარმოხანენად ხაკვარის მასალას იძლევა გვარის ერთი შტო, რომლის ხოციალური განვითარება, ვფიქრობთ, იხევვე მიმდინარეობს, როგორც თვით გვარისა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ახალაიების გვარის ერთი

შტოს – „თუთაშხიას თურის“ გენეალოგიას და კუნევენებთ მიხი („თურის“) ჩამოყალიბების პროცესს. თუთაშხია ახალია ადრე ადამიანის გადმოსახლებული ჩემოროწეული რაიონის უწყვეტისა და ანიდან და დახახლებული მარტვილის რაიონის ხოფ. კურზუში. მას, მის შვილებს – ჯოლორიასა და კოჩიას, შვილიშვილებს – სტეფანეს, თუთაშხიასა და ბოშეუხუს, კრისტერქვეშ გაუყოფრად უცხოვრიათ. თუთაშხიასა და მიხი უფროსი შვილის – ჯოლორიას გარდაცვალების შემდგა, ბიძაშვილები კოჩიას სიცოცხლების გაურიოლან და გვერდიგვერდ დახახლებულან ერთ „დინოდ“, რომელშიც სამი „თი“ (სტეფანესი, თუთაშხიასა და ბოშეუხუს) შედიოდა. „დინოში“ შემავალი ოჯახები კვლავ რჩებოდნენ „დუდ მოჯგირებად“. ახლო ნათესავების ეს გაერთიანება თავიდან „თუთაშხიას დინოდ“ იწოდებოდა. ერთ ოჯახში მცხოვრები ჯოლორიას შვილის – სტეფანეს შვილიშვილები (მეთოია, ივანქ, ბიტუ და ჭუბელა) თავიანთი მამების – შუკოსა და გახუს ღრმადმოხუცებულობის ქამს გაურიოლან; მოგვიანებით გაურიოლან კოჩიას შვილების – თუთაშხიასა და ბოშეუხუს შვილიშვილები (ბონდო, ბიძი, ბენო, დავითი, ჭიჭიკო, ლადი და ბუხუ). ამ ღროსისათვის თუთაშხიას შვილები (ვერა, ობიშხია, ნიკოია) გარდაცვლილი იყვნენ, ხოლო ბოშეუხუს კრთადერთი შვილი – კოჩია ღრმად მოხუცი უოფილა.

ჯოლორიასა და კოჩიას შვილების გაურის და მათი ცალ-ცალკე დახახლების შემდეგ დაშლილა თვით „თუთაშხიას დინო“, რომლის ნაცვლად ირი დამოკიდებული დინო შექმნილა. სტეფანეს შვილიშვილების ოჯახები გაერთიანებულან „სტეფანეს დინში“, ხოლო თუთაშხიასა და ბოშეუხუს შვილიშვილები და მათი ოჯახები, რომლებიც თავის დროზე კრთმანების „დუდ მოჯგირები“ იყვნენ, თაობათა თანდათანობით დაშორდისა და აქვთან გამომდინარე მათი ცალკეულ დინოებში გაერთიანების გამო, ნათესაობის

სხვადასხვა საფეხურზე აღმოჩნდნენ. ჭა. სიკარინება და თუთაშხიას ახლადშექმნილი დინოჟი კომისაზოს მიმართ გამოლიოდნენ როგორც „გამოუწირ შეავავირები“ მაშინ, როდესაც რომელიმე ერთ უსამარტი ტექნიკა-ლი თჯახები „დუდ მოჯგირეები“ ჩეკები: მისი მოტექნიკი დინოჟი კრითიანდებოდნენ „სისხლ-ხორცობაში“ და წინაპრის სახელის მიხედვით იწოდებოდნენ – „თუთაშხიაში ზისხირ-ხორცი“ (თუთაშხიას სისხლ-ხორცი). ახალიაიბის გვარის ხოფ. კურზუს შტოს განვითარების აღნიშნულ საფეხურზე „თური“ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა. მას საბოლოო სახე მიუდია სტეფანება და თუთაშხიას დინოჟმი გაკრითანებული თჯახების მეხამედ გაყრის შემდეგ, რაც სტეფანებს, თუთაშხიასა და ბოშხუსუს შვილების (შუკოს, გახუს, გვრის, თბილშხიას, ნიკოსას და კონიას) შვილთაშვილების დროს, კი. მეშვიდე თაობაში მომხდარა. ამის შემდეგ სტეფანებს დინო გაყოფილი თრად – მეორიასა და ბიტუს დინოჟბად, ხოლო თუთაშხიას დინო – ბონდოსა და ლადის დინოჟბად. როგორც გადმოგვცეს, აღნიშნული პროცესით დამთავრებულა „თუთაშხიას თურის“ ჩამოყალიბება. მართალია, დღისათვის კი „თური“ ათ თაობას მოიცავს, რაც თითქოსდა ეწინააღმდეგება მის ბუნებას, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია კრიი რამ. რამდენადაც მოიშალა სათანადო ხოციალურ-ექონომიკური საფუძვლები, „თუთაშხიას თურის“ შემდგომი ხეგმენტაციის პროცესი, რაც საბოლოო ჯამში ორი ახალი „თურის“ ჩამოყალიბებამდე მიივანდა ახალიაის გვარის აღნიშნულ შტოს, შეჩერდა და საბოლოოდ გაიყინა. ამის გამო არა თუ მერვე, მეცხრე და მეათე თაობის წარმომადგენელი, არამედ მომავალი თაობის ხებისმიური ახალაია იქნება „თუთაშხიას თურის“ წევრი. ასეთივე დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ჯანაშიების გვარი, რომლის ყველა წარმომადგენელი გაერთიანებულია კეკს „თურში“ (მე-

ქაჩქ, მამაშიათური, გულათური, ჯვარისამა, ჭუპაორი  
რი და ნანკლათური).

ახალაიას გვარის „თუთაშიას თურშესტუდული  
სურათს იძლევა მარტვილის რაონის ხოჭილდესტეს“  
ში მცხოვრები კრქვანიას გვარის „უთუთის თური“  
(იგი შვიდი თაობის შიგნით ასევ თხს დინოდ არის  
დაყოფილი) და ქ. ზუგდიდში მცხოვრები მეუნარგიას  
გვარის „გურკონიას თური“.

ზემომოცვანილ მონაცემებს თუ განვაზღადებთ,  
შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარხულში შვიდი თაო-  
ბის შიგნით წარმოქმნილი ოთხი „დინო“, მოიცავდა რა  
სხვადასხვა კატეგორიის ნათესავებს (დუდ მოჯგო-  
რეებსა“ და „გალენი მოჯგირეებს“), რომდებიც  
შეკრულნი იყვნენ „სისხლ-ხორცობით“, ქმნიდა „თურს“.  
ამდენად, „თური“ არის შეიძთაობიანი აგნატიკური  
ჯგუფის ხოციალური გაერთიანება, რომელიც შედგა  
ბა სისხლით ნათესავების პირდაპირი და გვერდითი  
შტოების წარმომადგენლებისაგან.

იკვლევდა რა ძველქართულ ხოციალურ ინსტიტუტს,  
მკვლევარმა გ. მამულიამ, მიუხედავად მის ხელთარ-  
ხებული ძალზე მწირი მონაცემებისა, სამართლიანად  
დაუკავშირა ერთმანეთს საქართველოში ისტორიულად  
არსებული შეიძთაობიანი აგნატიკური ერთგულები  
„თვისი“ და მეგრული „თური“ /51, 33/. გ. მამულია წერს,  
რომ ის, ვინც „თვისს“ არ ეკუთვნოდა იყო „უცხეო“ /51,  
40/, ე.ი. „თვისის“ ქონტრაგენტად „უცხეო“ გვევლინება.  
შეგავხად ამისა პირი, რომელიც ეგო-ს „თურში“ არ  
შედის, არის „შხვაში თური“ (სხვისი თური), ე.ი. „თუ-  
რის“ ქონტრაგენტი არის „შხვაში თური“, რომელიც  
„უცხეოს“ ტოლვარდია.

„თვისისა“ და „თურის“ განვიტიკურ ნათესაობას აფ-  
ლენს სხვა მომენტიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, „თურ-  
ში“ შემავალი „დინოები“ ერთმანეთის „მოჯიმალევ-  
ბი“ – „მომენტი“ არიან. აქედან გამომდინარე შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ „თური“ წარმომადგენდა „მომენტა“ გაერ-

თიანებას, ანუ „საძმოს“. ეს უკანასკნელი ეს „საძმოს“ იდენტური ხოციალური ინსტიტუტი იყო /1, 17-41/.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „თურქეთი“ ტერიტორიას სის“ მსგავსებაზე, მხედველობაში გვატარებული რეაქციები ხოციალური ინსტიტუტების იდენტურობა ისტორიულ წარხელში და არა დღეს. განხხვავებით საზოგადოების გარევეულ ხაფეხურზე მოქმედი „თვისის“ ინსტიტუტისაგან, რომელიც გვაროვნულ, პატრიარქალურ ურთიერთობათა პირმშოთ, ეთნოგრაფიულად დამოწმებული ხოციალური გაერთიანება „თური“ არის ოჯახური წარმონაქმნი.

„თურის“ ხტრუქტურა ემთხვევა სკანკოის ეთნოგრაფიულ სინამდვიიღები დაღასტურებული „ლამხუბის“ (საძმოს)<sup>18</sup> შინაგან აგებულებას. „თურში“ შემავალი „დინო“ ან „დინოთა“ გაერთიანება შეესაბამუბა ხვანური „ლამხუბის“ დანაწილებას „ძირიში მეხუბარარისა“ (შდრ. „დუდი მოჯგირუები“) და „ქახიქა მეხუბარარის“ (შდრ. „გაღვენი მოჯგირუები“) ე. ი. „უახლოები და შორეული მოქმედის ხახით /104, 40/. გარდა ამისა, „დინო“, რომელიც აერთიანებს რამდენიმე თაობის ხიხებით ხათებავებს პირდაპირ შესატყვისობაში ხევსურულ „ახალ მამად“ დაყოფასთან,<sup>19</sup> ხოლო „დინოების“ გაერთიანება ანუ „თური“ ეხად ძველი და ახალი „მამების“, იგივე „ძირიში მეხუბარარისა“ და „ქახიქა მეხუბარარის“ გაერთიანება ანუ „საძმო“.

ამდენად, ვუიქრობთ, რომ მეგრულმა „თურმა“ პკრთალად, მაგრამ მაინც შემოინახა იმ ხოციალური ორგანიზაციის ნიშნები, რომლებიც ახახიათებდა „სამხუბისა“ და „მამანს“. ეს ორგანიზაცია არის დიდი ოჯახის განვითარების შედეგად მიღებული პატრიონიული ორგანიზაცია /72, 55/, რომელიც ქარგადაა შეხწავლი-

18 „ლამხუბის“ შესახებ იხ. 104, 17-41.

19 „მამებად“ დაყოფისთან დაკავშირებით იხ. ჩ. ხარიძისა და ქ. ბარლაველიძის ნაშრომები /105, 187-204; 4, 469-497/.

ლი ახევე აჭარის მაგალითზე /55, 34-37; 70, 25-47; 56, 70-82/. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „თური“ პარონის იმიული ორგანიზაციის კკონომიკური სტატუსი უსტურებული ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის, უმრავლესობაში მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, უძველესი გამოცდილი აქვს. იგი მხილოდ სოციალური ნიშნებით თუა პატონისიმიული.

მართალია, სამეცნიერო ში ერთი გვარის შიგნით იკრძალება ქორწინება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მკაცრად ეგზოგამირებულ ერთულს, „პირველებს ყოვლისა, წარმოადგენს „თური“. ჩვენ კერძავამოწმეთ ერთი შემთხვევაც კი „თურის“ წევრთა ქორწინებისა მაშინ, როდესაც გვხვდება გვარში შემავალი სხვადასხვა „თურების“ წარმომადგენელთა შეუდღების ცალქალი ფაქტები. გვარსშინა ქორწინება სამეცნიერო ში ძირითადად მოდის ისეთ მრავალრიცხოვან გვარებზე, როგორიცაა ქვარაცხელია, დანერია და სიტინავა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, აღნიშნულ გვარებში შეუდღებული წყვილების ნათესაური დამოკიდებულება არ მოწმდება. მთხოობელთა გადმოცემითაც, გვარსშინა ქორწინებით ჯვარდაწერილნი შვიდი, რვა თაობით მაინც უნდა ყოფილიყვნენ დაცილებულნი, ვ.ი. ისინი ერთი „თურის“ წევრები არ უნდა ყოფილიყვნენ.

ამრიგად, სწორედ „თური“ წარმოადგენს ისეთ სოციალურ გაერთიანებას, რომელიც ვალდებულია მკაცრად დაიცვას ეგზოგამიური ნორმები; რაც შეეხება გვარს, მისი ეგზოგამიურობის პრინციპი დარღვევადია შვიდი, რვა თაობის ზემოთ.

ერთი გვარის შეიდი თაობით დაცილებული წევრების შეუდღება, მართალია, ხალხის მიერ დაკანონებული არსად და არასოდეს ყოფილა, მაგრამ იგი დაშვე-

